BGS

ST. GEORGE'S
GEORGIAN - BRITISH SCHOOL

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi

აპრილი / April 2026

დირექტორი გვამცნობს...

The Headmistress writes...

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ქრისტე აღდგა!!!

აპრილში ბევრი საინტერესო სიახლე მოხდა ჩვენი სკოლის ცხოვრებაში: მრავალი წლის ფიქრის შემდეგ, საქართველომ ოფიციალურად აღიარა Pearson-ის საერთაშორისო პროგრამა, რომლის საკვალიფიკაციო დოკუმენტი გათანაბრდა ქართულ ატესტატთან; პირველად დავიწყეთ ახალი მუსიკალური კონკურსი. აპრილი ლიტერატურული თავგადასავლების თვედ იქცა ბიჯიესში, სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა დედა ენის თვის ფარგლებში. გაზაფხულის დადგომასთან ერთად გააქტიურდა გასვლითი ღონისძიებებიც. . .

განაგრძეთ კითხვა და ყველა ამ ღონისძიების შესახებ დაწვრილებით ქვემოთ, თვის სიახლეებიდან შეიტყობთ.

Happy Easter! Christ is Risen!

April brought many exciting developments to our school community. After many years of consideration, Georgia officially recognized the international programme of Pearson, with its qualification now considered equivalent to the Georgian school diploma. We also launched a new music competition for the first time.

April became a month of literary adventures at BGS, with a variety of events held as part of Month of the Mother Tongue. With the arrival of spring, outdoor and off-campus activities also became more active.

Continue reading below to learn more about these events and discover all the highlights from this month’s news.

Important News!

მნიშვნელოვანი სიახლე!

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაცია Pearson Education-ს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება. შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოში Pearson-ის ინგლისურენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ოფიციალურ აღიარებას, რაც საერთაშორისო განათლების ხარისხის და ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ Pearson Education-ის პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი საქართველოში გათანაბრდება სრული ზოგადი განათლების ატესტატთან. ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო პროგრამაში ჩართული მოსწავლეებისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

ბიჯიესი ერთადერთი სკოლაა, რომელიც უკვე მრავალი წელია წარმატებით ახორციელებს Pearson-ის პროგრამებს და მუდმივად მუშაობს საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვასა და განვითარებაზე. აღნიშნული აღიარება ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რადგან ეს არის იმ მრავალწლიანი შრომის შედეგი, რომელსაც ჩვენი სკოლა წლების განმავლობაში ახორციელებდა.

ბიჯიესში, ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ჰქონდა ჩვენი სკოლის დირექტორს — ეკა კვაჭანტირაძეს და ემერიტუს დირექტორს — დოქტორ კრისტოფერ გრინფილდს, რომელთა ხედვა და დაუღალავი მუშაობა სწორედ საერთაშორისო ხარისხის განათლების დამკვიდრებას ემსახურება. გვიხარია, რომ ის მიმართულება, რომელზეც ჩვენი სკოლა დიდი ხანია მუშაობს, დღეს სახელმწიფო დონეზეც დაფასდა და აღიარება მოიპოვა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

Pearson

Important News!

მნიშვნელოვანი სიახლე!

We are pleased to announce that a memorandum of understanding has been signed between the National Center for Educational Quality Enhancement of Georgia and the international educational organization Pearson Education. The agreement provides official recognition in Georgia of Pearson's education programmes, further strengthening the quality and accessibility of international education.

Importantly, qualifications earned through completion of Pearson qualifications will now be recognized as equivalent to a full general education diploma in Georgia. This decision creates new opportunities for students participating in international programmes, both locally and internationally.

BGS is the only school that has successfully implemented Pearson qualifications for many years and continues to promote international educational standards. This recognition is especially meaningful and rewarding for us, as it reflects the result of many years of dedication and work by our school community.

A particularly important role in this process was played by our School Headmistress, Eka Kvachantiradze, and Emeritus Director, Dr. Christopher Greenfield, whose vision and tireless dedication have long supported the development of high-quality international education. We are proud that the direction our school has pursued for many years has now received recognition at the national level.

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

Pearson

„ბიჯიესის მელომანი“

“BGS Music Challenge”

ბიჯიესის ისტორიაში პირველად გაიმართა მუსიკალური კონკურსი „ბიჯიესის მელომანი“. ამ სახალისო აქტივობაში ოთხივე სახლის უფროსკლასელები მონაწილეობდნენ. მათ წარმატებით გაართვეს თავი დავალებებს და გამოავლინეს საფუძვლიანი ცოდნა როგორც ქართული, ისე დასავლური მუსიკის სხვადასხვა ეპოქის, ჟანრისა და მიმართულების კომპოზიციების ამოცნობაში. ვულოცავთ კოლხებს გამარჯვებას!

BGS held its first-ever music competition, “BGS Music Challenge.” Senior students from all four houses participated in this entertaining activity. They successfully completed a variety of tasks and demonstrated strong knowledge in identifying compositions from different periods, genres, and styles of both Georgian and Western music. Congratulations to Colchians on their victory!

კავკასის უნივერსიტეტი სტუმრად

Informational Assembly

ასამბლეაზე კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უფროსკლასელებს საინფორმაციო პრეზენტაცია წარუდგინეს. მოსწავლეებმა მათ შეკითხვებიც დაუსვეს და ამომწურავი პასუხები მიიღეს. მსგავსი შეხვედრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული ორიენტაციისთვის.

Representatives from Caucasus University delivered an informative presentation to senior students during the school assembly. Students had the opportunity to ask questions and received detailed answers. Such meetings are especially important for career orientation and future academic planning.

სტუდენტური პარლამენტი

Student Parliament

ასამბლეაზე სტუდენტური პარლამენტის წარმომადგენელმა უფროსკლასელებს საინტერესო პრეზენტაცია წარუდგინა მათი საქმიანობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრის ინიციატორი გახლდათ ჩვენი მეთერთმეტეკლასელი, ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი — დავით კვირიკაშვილი. მან აღნიშნა:

„საქართველოს სტუდენტური პარლამენტი არის ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სტუდენტებსა და მოსწავლეებს. ამ ორგანიზაციის შესახებ ჩემს სკოლაში გაზიარება იმიტომ მომინდა, რომ ჩემი მეგობრები დავაინტერესო — ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში, თამამად გამოხატონ საკუთარი აზრი, მიიღონ მნიშვნელოვანი გამოცდილება და უკეთ გაეცნონ სხვადასხვა სფეროს საქმიანობას.“

During the assembly, a representative of the Student Parliament gave senior students an engaging presentation about the organization’s activities. It is worth noting that the initiative for this meeting came from our eleventh-grade student, Davit Kvirikashvili, an active member of the organization. He stated: “The Georgian Student Parliament is a youth organization that brings together students and school pupils. I wanted to share information about this organization at my school to encourage my friends to get involved in various activities, confidently express their opinions, gain valuable experience, and become more familiar with different professional fields.”

Interesting and Fun!

ეს საინტერესოა, ეს სახალისოა!

As always, the science lesson proved to be both educational and enjoyable. Fourth-grade students explored and observed the effects of different forces through hands-on activities using toys.

They then created their own board games that incorporated balls and the application of various forces. Students developed the rules for their games and tested their applicability.

ტრადიციულად, ბუნებისმეტყველების გაკვეთილი ძალიან შემეცნებითი და სახალისოა. მეოთხე კლასის მოსწავლეებმა შეისწავლეს და დააკვირდნენ სხვადასხვა ძალის მოქმედებას, რისთვისაც გამოიყენეს სათამაშოები.

შემდეგ მათ თავად შექმნეს სამაგიდო თამაშები, სადაც საჭირო იყო ბურთისა და სხვადასხვა ძალის გამოყენება. მოსწავლეებმა შეიმუშავეს თამაშის წესები და შექმნილი აქტივობები პრაქტიკაშიც გამოსცადეს.

აპრილი — ლიტერატურული თავგადასავლების თვე

April — A Month of Literary Adventures

თომას ზღაპრები

Toma’s Tales

აპრილი ლიტერატურული თავგადასავლების თვეა. პირველკლასელები ვაკის პარკში მდებარე „ბიბლუსს“ ესტუმრნენ, სადაც მათ გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ წაუკითხეს. პატარები ძალიან გაერთნენ.

April is a month of literary adventures. First-grade students visited the bookstore “Biblus” near Vake Park, where they listened to readings from Giorgi Kekelidze’s Toma’s Tales. The children had a wonderful time.

აპრილი — ლიტერატურული თავგადასავლების თვე

April — A Month of Literary Adventures

წიგნის ჩუქების დღე

World Book Day

23 აპრილს მსოფლიოში აღინიშნება წიგნის საერთაშორისო დღე — ორი დიდი კლასიკოსის, სერვანტესისა და შექსპირის გარდაცვალების თარიღი. საქართველოში ამ დღეს წიგნის ჩუქების ტრადიციაც დამკვიდრდა. ამასთან დაკავშირებით, ბიჯიესელები ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას ესტუმრნენ, დაათვალიერეს რარიტეტული წიგნების საინტერესო ექსპოზიცია და, რა თქმა უნდა, წიგნებითაც დასაჩუქრდნენ.

On April 23rd, the world celebrates World Book Day, commemorating the passing of two great literary figures, Miguel de Cervantes and William Shakespeare. In Georgia, this day is also marked by the tradition of giving books as gifts. To celebrate, BGS students visited the National Science Library, explored its fascinating collection of rare books, and, of course, received books as gifts.

აპრილი — ლიტერატურული თავგადასავლების თვე

April — A Month of Literary Adventures

კალიგრაფიის კონკურსი

Calligraphy Competition

დედაენის დღესთან დაკავშირებით მეორე კლასის მოსწავლეებთან ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი. გამარჯვებულებს სერტიფიკატები გადაეცათ. მადლობა ამ სასარგებლო აქტივობის ორგანიზატორებს.

To mark the Day of the Mother Tongue, a calligraphy competition was held for second-grade students. Certificates were awarded to the winners. We thank the organizers for this meaningful and educational activity.

აპრილი — ლიტერატურული თავგადასავლების თვე

April — A Month of Literary Adventures

პოეზიისა და მუსიკის საღამო

An Evening of Poetry and Music

VI კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს. მათ დაათვალიერეს ისტორიული ექსპონატები, კომპოზიტორის ჩანაწერები, ოპერის პარტიტურა და პირადი ნივთები.

შემდეგ მოსწავლეებმა წაიკითხეს ნაწყვეტები უკვდავი „ვეფხისტყაოსნიდან“, შექსპირის სონეტები, ასევე ბაირონის, ელიოტის, პუშკინის, ფეტის, ცვეტაევასა და ტიუჩევის ლექსები. ბავშვებმა საღამო მუსიკალური ნომრებით გაალამაზეს — შეასრულეს ბეთჰოვენისა და მოცარტის ნაწარმოებები.

ეს, მართლაც, ძალიან თბილი და სამახსოვრო საღამო იყო.

Grade VI students visited the house museum of the distinguished Georgian composer Zakaria Paliashvili. They explored historical exhibits, the composer’s manuscripts, opera musical scores, and personal belongings.

The students then read excerpts from The Knight in the Panther’s Skin, sonnets by Shakespeare, and poems by Byron, Eliot, Pushkin, Fet, Tsvetaeva, and Tyutchev.

The evening was enriched by musical performances featuring works by Beethoven and Mozart. It was truly a warm and memorable event.

Easter Souvenirs

სააღდგომო სუვენირები

III და VI კლასების მოსწავლეებს ქალბატონმა თამარ სიხარულიძემ დეკუპაჟის მასტერკლასი ჩაუტარა. ბავშვებმა დიდი ხალისითა და ინტერესით დაამზადეს სააღდგომო სუვენირები.

Mrs. Tamar Sikharulidze conducted a decoupage masterclass for Grade III and Grade VI students. The children enthusiastically created Easter souvenirs and enjoyed the creative activity.

An Extraordinary World

არაჩვეულებრივი სამყარო

მეხუთე კლასის მოსწავლეებმა ილუზიების მუზეუმი მოინახულეს მუდმივმოქმედი, საინტერესო და შემეცნებითი ექსპოზიციის გარდა, მათ დავით მაჭავარიანის „ვეფხისტყაოსნის“ გრაფიკული ილუსტრაციების ციფრული ვერსიაც დაათვალიერეს. ბავშვებმა, მართლაც, არაჩვეულებრივი სამყარო აღმოაჩინეს!



Fifth-grade students visited the Museum of Illusions. In addition to exploring the museum’s permanent, engaging, and educational exhibitions, they also viewed the digital version of David Machavariani’s graphic illustrations of The Knight in the Panther’s Skin. The students truly discovered an extraordinary world.

ვულოცავთ

Congratulations

დავით გრეკოვს — კინგსის ოლიმპიადაში ოქროს მედლის მოპოვებას;
არინა კლუბოვიჩს — I, II და V ადგილების დაკავებას სამეჯლისო ცეკვის სხვადასხვა სახეობაში;
მარიამ სუდაძეს — III ადგილის მოპოვებას თანამედროვე ცეკვის სხვადასხვა სახეობაში;
ლილე ფარჯიანს — სომხეთში გამართულ ფიგურულ სრიალში წარმატებულ გამოსვლას;
ანა ერიშვილს — ინგლისური ენის ოლიმპიადაში მაქსიმალური შეფასების მიღებას.

David Hrekov — for winning a gold medal in the Kings Olympiad;
Arina Klubovich — for achieving 1st, 2nd, and 5th places in various ballroom dance categories;
Mariam Sudadze — for earning 3rd place in different modern dance categories;
Lile Parjiani — for her successful performance in figure skating competition held in Armenia;
Ana Erishvili — for achieving a perfect score in the English Language Olympiad.



წმ. გიორგის ქართული - ბრიტანული სკოლა
მ.ალექსიძის II შეს. 6, საბურთალო, თბილისი
ტ. 995 322 60 99 89
დირექტორი: ეკა კვაჭანტირაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი თავაძე

The St. George`s Georgian - British School
M.Aleksidze II Lane 6, Saburtalo, Tbilisi
Tel. 995 322 60 99 89
Headmistress: Eka Kvachantiradze
Chairman of the Board: George Tavadze

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi



School Mission

The mission of our school is to nurture thoughtful people who are active participants in the progressive society of the modern world.

სკოლის მისია

სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ღირსეულად შეძლებს ინტეგრირებას თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში.